

საქართველოს კანონი
„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №47, 28.12.2009, მუხლი 361) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შემოსულობები სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ნაწილდება ამ კოდექსის დანართის შესაბამისად. ამ დანართში მითითებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და სახელმწიფო ქონების ნუსხას ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.“

2. 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. სპორტისა და კულტურის სფეროების დაფინანსება

დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების ასიგნებებში სპორტისა და კულტურის განვითარებისათვის გათვალისწინებული სახსრები არ შეიძლება იყოს გასულ საბიუჯეტო წელს ლატარიის ბილეთების რეალიზაციის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული სახსრების 75%-ზე ნაკლები.“

3. 112-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 112. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული

ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა
მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით

სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი ოდენობა 2011 წელს არ უნდა აღემატებოდეს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის 30%-ს, ხოლო 2012 წელს – 28%-ს.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი